წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. პარასკევი 1 ივლისი

# სამშობლო

№ 393

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანა გვერდზე ... სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ ალექსის ძე ჭიჭინაძე და ანნა გიორგის ასული ჭიჭინაძისა, ძენი და ასულნი მათი: დიმიტრი, თამარ, ნინო, ვერა, ალექსი, ნონა, სირა და ვახტანგი მწუხარებით გულდაჭრილნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 29 ივნისს, დილით გარდაიცვალა პირველთა საყვარელი ასული, ხოლო მეორეთა და—ქუთაისის წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებლის მესამე კლასის მოწაფე

ანგელინა.

პანაშვიდები საღამოს $6^1/_2$ საათზე, გასვენდება შაბათს, 2 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათზე, (ძველი თბილისის ქუჩა, საკუთარი სახლი) საფიჩხიის სასაფლაოზე. 2—1

მეუღლე: კლიმენტი კონსტანტინეს ძე და შვილები: ნატაშა, კატია, ოლია და ქსენია იოსელიანები, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 3 ივლისს, საფირჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი, პირველის დაუვიწყარის მეუღლის, ხოლო დანარჩენთა ძვირფასი დედის

ნადია გლახუას ასულის იოსელიანის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე.

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ხუთშაბათიდან 30 ივნისიდან ახალი პროგრამა

ცასხვათა ხეივნის საიდუმლოება.

თანამედროვე დრამა 4 ნაწ. ა. მ. კაზუხინის რომანით, საიმპერატორო მცირე თეატრის მსახიობის ვ. მაქსიმოვის მონაწილეობით და რეჟის. ვ. კ. ტატიშჩევის მიერ დადგმული.

ქმარს ვემებ ჩემი ცოლისთვის. მხიარული კომედია—ფარსი 2 ნაწ. ცნობილ მსახიობის კამილლო დე რიზოს და სხვათა მონაწილეობით

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 30 ივნისიდან ახალი პროგრამა. **გომონის ქრონიკა,** მიმდინარე ამბები.

ულტუს-შურისმაძიებელი.

კინო-რომანი 6 ნაწილად. უმთავრეს როლს გონდონის სამეფო თეატრის მსახიობი ორელ სიდნეი ასრულებს. დეკორაცია ინგლისის ცნობილ მხატვარის მდჟევეის ესკიზების მიხედვით.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე **გოკიელის** ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. საა. 6-9 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

ექიმი ა. მ. ასათიანი. რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათმყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

ბებია მ. მ. კოხრეიძე ურცხის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ექიმი ი. **ჩარექოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით $12^1/_2$—2 საათ. საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

დოქტორი მედიცინისა

პრივატდოცენტი

ვ. პ. მოსეშვილი

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 საათამდი და საღამოს 6 ს.—8 საათ. 2 ოსპიტლის ქუჩა № 6 თ.

გამოცდილი მასწავლებელი

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „სამშობლოს“ რედაქც.

დ. ლაილაში.

კბილის ექიმი

ანნა პარმენის ასული ებანოიძე

25 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს. სახლი ნესტორ კაჭკაჭაშვილისა.

ბორჯომში

ექიმი სიმონ ხეჩინოვი 25 ივანობისთვიდან 25 მარიობისთვემდე მიიღებს ავათმყოფებს ბორჯომში (საყდრის ქუჩა № 98).

ქუთაისის ერთ-ერთ საშუალო სასწავლებლის უფროსი კლასის რუსული ენის მასწავლებელი (ტომით რუსი) რჩება რა საზაფხულოდ ქუთაისში,

ამზადებს მოწაფეებს

საშუალო-სასწავლებლის ყველა კლასებისათვის, სპეციალურად კი რუსულ ენაში.

მისამართი: ძველი თბილისის ქუჩა, სახლი წინამძღვაროვისა.

პირადად მოლაპარაკება ნაშუადღევის 2—5 საათამდე. 8—5

## მსოფლიო ომი.

### დეპეშები.

**უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისა.**

დასავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 27 ივნისი. მდ. სტოხოდზე მოხდა მთელი რიგი ბრძოლებისა; მტერი სცდილობს ფეხი მოიკიდოს მდინარის მარცხენა ნაპირზე. მტერი ყოველ მხრივ სცდილობს ჩვენი წინსვლის შეჩერებას. კაშოვკის ჩრდილოეთით სოფ. ივანოვკის მიდამოებში მტრის ორმა საჰაერო ესკადრამ 70 მდე ყუმბარა ესროლა სასანიტრო ქარავანს. დაიჭრენ ორი მოწყალების და და ერთი რწმუნებული. უფრო სამხრეთით ვოლინისა და გალიციის ასპარეზზე საარტილერიო ბრძოლაა. მტრის მძიმე არტილერია გალადკი-ცობოვის მიდამოებს უშენდა.

ჩვენი ჯარი მტერს სდევნის. რამდენიმე ალაგას ჩვენი ჯარი ბრძოლით მდ. სტოხოდზე გადადის. უკან დახეული მტერი გადასასვლელებს აფეთქებდა. სტოხოდის მარცხენა ნაპირზე, სოფ. სვიდნიკსა, ძველსა და ახალ მოსორთან ფიცხელი ბრძოლაა. ჩვენ აქ გერმანელები დავატყვევეთ. კისელინისა და ზუბილნოს შუა ჩვენი ჯარი მოულოდნელად დაეცა მტერს და გააქცია. გენ. კალედინის ჯარმა 21-დან 25 ივნისამდის სულ დაატყვევა 341 აფიცერი 9145 ჯანსაღი ჯარისკაცი, დავლათ დარჩა: 10 ზარბაზანი 48 ტყვიისმფრქვეველი, 16 ნაღმის მსროლელი და ყუმბარის მტყორცნელი, 7930 ვინტოვკა, 62 ტყვიით სავსე ყუთი, 3 პროჟექტორი და საინჟინერო ქონების საწყობი. ეს დავლა უნდა მიუმატოთ 25 ივნისის შტაბის ცნობაში მოხსენებულ დავლას, ე. ი. 300 აფიცერი, 12,000 ჯარისკაცი, 45 ზარბაზანი და სხვა. გალიციის ასპარეზე საარტილერიო ბრძოლაა. ნამეტურ ძლიერია. მდ. დნესტრის ორივე ნაპირზე. ქ. დვინსკის პოზიციებთან მტერმა წინსვლა იწყო სვენტენის ტბის სამხრეთ-დასავლეთით, მაგრამ უკუვაქციეთ და თავის თხრილებში ჩაბრუნდა. ბარანოვიჩის აღმოსავლეთით სოფ. ოდახოვშჩინას მიდამოებში კვლავ მოიტანეს კონტრიერიში, რომელიც ჩვენ თოფისა და არტილერიის სროლით მოვიგერიეთ. ორივე მხარის მფრინავები მთელ ასპარეზზე მოქმედებენ. შუბენის არხის მიდამოებში (მდ. ბერეზინისა და ნემანის შესართავის აღმოსავლეთით არის) ჩვენმა არტილერიამ გერმანული საფრენი ჩამოაგდო, მფრინავი და მექანიკი დავატყვევეთ. მტრის არა ნაკლებ 10 საფრენისა მოლოდეჩნოს დაეცა, 40 ყუმბარა ჩამოყარეს და დასწვეს თივის საწყობი.

ბალტიის ზღვა.

ჩვენი ერთი წყალქვეშა ჩვეულებრივათ დასცურავდა ბოტნიკის ყურეში და ჩაღუპა ერთი, რკინის მადნით დატვირთული, გერმანელი გემი.

კავკასიის ასპარეზი.

პლატანის დასავლეთით ჩვენმა ჯარმა კვლავ წინ წაიწია. გუმიშხანის მიმართულებით ჩვენი მზვერავები გაჩნდენ ოსმალთა პოზიციების ხაზის იქით და ბევრი ოსმალო დახოცეს. პონტის ტაბრის სამხრეთით ჩვენი ჯარი მარჯვედ მიიწევდა წინ, აიღო მნიშვნელოვანი ქედი და მთელი რიგი სიმაღლეებისა, რომელნიც კარგა ხნის განმავლობაში მტერს არა ქონდა გამაგრებული. ბევრ ალაგას მტერს ჩვენ მივაწევით და გავაქციეთ. გენ. კრუტენიას ჯარის ნაწილმა საგრძნობლად წინ წაიწია, ხელთ იგდო ტყვეები, ზარბაზნები, ტყვიისმფრქვევლები და სხვა სამხედრო დავლა; ამ ბრძოლაში ნამეტნავათ თავი იჩინა ტვერელ ყაზახთა ქვეითა ჯარის ნაწილმა.

**შენიშვნა.** სოფ. უგლის გადასავალის მარდი აღება 25 ივნისს, დამატებითი ცნობებით, მომხდარა წმ. გიორგის კავალერიის პოლკოვნიკ კანცეროვის წყალობით, რომელიც 283 პავლოგრადელ პოლკს უფროსობს. კანცეროვი გაიჭრა წინ, თან გაიყოლა ჯარის მოწინავე ნაწილები და გადაიარა ცეცხლ მოკიდებულ ხიდზე, რომელსაც მტერი თოფსა და ზარბაზანს უშენდა. 20 ივნისის დილის ცნობაში მოხსენებულია პოლკოვნიკი ყორლონოვი, რომლის უფროსობითაც ცხენოსანმა ჯარმა დახმარების ალოჩენის შემდეგ იერიში მიიტანა.

დასავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 28 ივნისი. მდ. სტოხოდზე ბრძოლა გრძელდება, მტერი დიდ წინააღმდეგობას გვიწევს. ამასთანავე მტრის ჰაეროპლანები ხშირად დაფრინავენ ჩვენი ჯარის ზურგის უკან, მრავალ ყუმბარას გვიშენს და ტყვიისმფრქვევლებს ისვრის. დანარჩენ ასპარეზზე მდგომარეობა უცვლელია.

მდ. სტოხოდზე ბრძოლა გრძელდება. მტერმა დახმარება მიიღო, წინ წამოსწია ძლიერი არტილერია და დიდ წინააღმდეგობას გვიწევს. ბრიზე-ფუნდულ-მოლდავის ბრძოლის ხაზზე, კიმპოლუნგის ჩრდილო-დასავლეთით ფიცხელი ბრძოლის შემდეგ მტრის დიდი ძალები უკუვაქციეთ. ზოგიერთ ალაგას მტერმა ვერ გაუძლო ჩვენს ხიშტებით ბრძოლას და გაიქცა. მტრის საფრენები თავს დაესხენ მინსკ-ბარანოვიჩის რკინის გზის სადგურ ზამირიეს და 66 ყუმბარა ჩამოყარეს.

შავი ზღვა.

კავკასიის ნაპირებთან მტრის წყალქვეშამ ჩაღუპა ჩვენი ტრანსპორტი, რომელიც ცარიელი მიდიოდა.

კავკასიის ასპარეზი.

ბაიბურთის მიმართულებით 26 ივნისის ღამეს ჩვენი მზვერავები გაჩნდენ მტრის მიერ დაპყრობილ სიმაგრეზე. მისი მცველები დახოცეს და ოსმალური ტყვიის მფრქვეველი წამოიღეს. სამხრეთით ჩვენმა ჯარმა იერიშით აიღო ოსმალთა პოზიციების გამაგრებული ნაწილები, რომელთაც ჩვენ ვამაგრებთ.

25 ივნისს დავატყვევეთ 30 აფიცერი და 350-მდე ასკერი. დიარბექირის მიმართულებით გონიუკ-ოვას ველზე ჩვენმა მოწინავე ჯარმა ადვილათ მოიგერია მტრის იერიში.

**შენიშვნა:** 22 მაისიდან 27 თიბათვემდე ხელში ჩაგდებულ ტყვეთა და დავლის დაახლოვებითი რაოდენობა შემდეგია: 5620 აფიცერი, 266 ჯარისკაცი, 312 ზარბაზანი და 866 ტყვიის-მფრქვეველი

**ლონდონი.** 27 ივნისი. ოფიციალური ცნობა. შუაღამისას დიდი ბრიტანიის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაპირზე გერმანელთა მფრინავები გამოჩნდენ, ჩამოაგდეს 5 ყუმბარა, რომელსაც, აქამდე მოსულ ცნობებით, არავითარი ზიანი არ მიუყენებია. ჰაეროპლანებს ინგლისელებმა საფრენთა სასროლი ზარბაზნები დაუშინეს.

**ლონდონი.** 27 ივნისი გაზეთებში იბეჭდება დეპეშები ნიუიორკიდან, საიდანაც იტყობინებიან: ბალტიმორაში მისულა ძვირფასი სალებავით დატვირთული გერმანული წყალქვეშა. ნაპირიდან 20 მილის სიშორეზე მას ინგლისელთა და ფრანგთა კრეისერები დადევნებიან და წყალქვეშას ოთხი დღით დაავგიანდა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

ვილნოში ავსტრო-გერმანელებს სამხედრო ბჭობა გაუმართავთ. ბჭობას გადაუწყვეტია: თუ რუსები ლვოვის აღებას შეუდგებიან, იმ შემთხვევაში ქალაქი უბრძოლველად გადასცენ მათ. რაც შეეხება პერემიშლეს, ავსტრო გერმანელები უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებენ ქალაქის დასაცავად.

——

ავსტრიელები ამბობენ, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ უკან დავიხიეთ ჩვენი ჯარი უვნებელი გადარჩა. დღევანდელ ომში უმთავრესი მნიშვნელობა ცოცხალი ძალის შენარჩუნებას აქვს და არა პოზიციების ერთი ხელიდან მეორეს ხელში გადასვლასო.

——

ავსტრო გერმანელების ხელშეკრულების ვადა 25 წლით გაუდიდებიათ. დღემდის ხელშეკრულობის ვადა მხოლოდ სამი წლით იყო.

——

მთაშავეთის აჯანყებას სერბიელებიც შეუერთდენ.

——

რუსული სატახტო გაზეთები ირწმუნებიან, მთელ სერბიაში აჯანყება დაიწყოვო. აჯანყებულნი ავსტრიის ჯარებს თავს ესხმიან და მათ სერბიის საზღვრებიდან სდევნიანო.

——

„ლე ჟურნალი“ ირწმუნება: ინგლის-ფრანგების შეტევას ჯერჯერობით დემონსტრაციული ხასიათი აქვს. ინგლის-საფრანგეთის შტაბებს გადაწყვეტილი აქვთ ამ დემონსტრაციული შეტევით ჯერ მტერი დაქსაქსონ და მერე მოულოდნელ ადგილას მტერს პირდაპირ შეუტიონო.

——

საფრანგეთის ასპარეზზე, ლოოსის რაიონში, საარტილერიო ბრძოლა უაღრესად გაცხოველდა, ადამიანთა უამრავი მსხვერპლის გარდა მთელი ეს მიდამო გადამწვარ-გადაბუგულია. ერთი კვირის ბრძოლას აქ ორივე მხრიდან 150,000 კაცი შეუწირავს.

——

ამას წინად გერმანელებმა ამერიკაში გაჰგზავნეს წყალ-ქვეშა გემი, რომელსაც კაიზერ ვილჰელმის წერილი მიჰქონდა პრეზიდენტ ვილსონთან. წყალ-ქვეშა გემი უკვე მისულა ნიუორკში და ვილსონისთვის ვილჰელმის წერილი გადაუცია. ამ ამბავს დიდი სიხარულით შეხვდენ ბერლინში. „სამხრეთ გერმანიის საერთო გაზეთი“ სწერს: „უთუოდ ვილჰელმის წერილი რამდენიმე ხნით დააშოშმინებს გაუმაძღარ ვილსონს. შემდეგ პრეზიდენტის არჩევანიც მოაღწევს; და თუ ვილსონის მაგიერ იუზა ავირჩიეთ პრეზიდენტათ, მაშინ ამერიკა სრულიად ჩვენსკენ იქნებაო.

——

ამერიკაში 19 მილიონი მოქალაქე გერმანელი ყოფილა ამათ გადაუწყვეტიათ მომავალ რესპუბლიკის პრეზიდენტის არ-

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** ბარანოვიჩის აღმოსავლეთით გერმანელებს კვლავ მოაქვთ კონტრიერიშები. გერმანელების მფრინავები შესევიან რუსის ჯარის ზურგს და მრავალ ალაგას ყუმბარები ჩამოუყრიათ. მდ. სტოხოდზე მდგომარეობა გართულდა, გერმანელებს ძლიერი არტილერია წამოუწევიათ წინ. მდ. დნესტრის ორივე ნაპირზე საარტილერიო ბრძოლებია.

**კავკასიის ასპარეზი.** პლატანის დასავლეთით, ტაბრის სამხრეთით რუსებს კვლავ სიმაგრეები აუღიათ. დიარბექირის მიმართულებით ოსმალთა წინსვლა რუსებმა შეაჩერეს.

**დასავლეთის ასპარეზი.** ნიუპორტის სამხრეთით გერმანელების არტილერია ამოქმედდა. მდ. სომმის ახლოს ინგლისელებმა აიღეს მეზონეტის ფერმა. რამოდენიმე ალაგას გერმანელებმა მკაცრი იერიშები მიიტანეს.

**ვერდენთან** გამუდმებული საარტილერიო ბრძოლებია. კონტიმეზონი კვლავ ინგლისელებმა აიღეს.

**იტალიის ასპარეზი.** ორივე მხრივ იერიშები სწარმოებს, უპირატესობა იტალიელების მხარესაა.

**ზღვაზე** ბალტიის ზღვაზე რუსის წყალქვეშამ გერმანელი ტრანსპორტი ჩაღუპა. შავ ზღვაზე ოსმალთა წყალქვეშამ რუსის ტრანსპორტი ჩაღუპა.

---

ჩევანში ხმა ვილსონის წინააღმდეგ მისცენ.

— —

ათინიდან იუწყებიან: საბერძნეთის კუნძულ მიტილნზე ამბოხება დაიწყოვო.

— —

დანიის მთავრობას კოპენჰაგენში ბევრი ჯაშუში შეუპყრია. ჯაშუშები სხვა და სხვა მებრძოლ სახელმწიფოსთან ჯაშუშობდენ. ჯაშუშები სიკვდილით დასაჯეს

— —

22 ივნისს შესრულდა ერთი თვე, რაც გალიციის ასპარეზზე გენ. ბრუსილოვმა შეტევა დაიწყო.

— —

ინგლისის ასპარეზზე ვიქტორიას რაიონში, დიდი ბრძოლა მომხდარა. ინგლისელებს დაჰკარგვიათ 16 კაცი, გერმანელებს—108.

— —

პარიზში სამხედრო სესხის მოსაწყობი გებლად ჩასულ რუსეთის ფინანსთა მინისტრს ფრანგებმა პატივსაცემლად ნადიმი გაუმართეს

— —

ათინიდან იუწყებიან, ვენიზელოსსა და გუანრისს შორის ძლიერ გამწვავდა პოლემიკა, რაც დუელით უნდა დამთავრდესო

— —

იტალიაში არა სჯერათ საბერძნეთის გულწრფელობა და მის წინააღმდეგ კვლავ რეპრესიებს მოითხოვენ. ამას წინად სოლუნში მისულა 18 ბერძენი ოფიცერი. მათ დაუთვალიერებიათ ინგლის-საფრანგეთის ფრონტი და სადღაც გამქრალან. იტალიური „ტრიბუნა" სწერს, რომ ოფიცრები ბულგარეთ-ოსმალეთში გადავიდენ, რათა გერმანელებს ინგლის-საფრანგეთის ფრონტის მდებარეობა აუწერონო.

— —

„კარიერა დელა სერა" იუწყება საბერძნეთი ისევ მეფე კონსტანტინეს ხელშია. ფორმალურად გამოცხადებული დემობილიზაცია სისრულეში არავის მოჰყავსო.

— —

რუშჩუკში სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს 3 სერბიელს და 2 სომეხს. მათ ბრალდებოდათ შეთანხმების სახელმწიფოებთან ჯაშუშობის წარმოება.

— —

ბულგარეთში მყოფი გერმანელი ოფიცრები სტამბოლში გადაიყვანეს.

— —

ჩინეთის ექს-იმპერატორის განსვენებულ იუანშიკაის კოლექციაში აღმოუჩენიათ კაიზერ ვილჰელმის წერილი, სადაც, სხვათა შორის, ვილჰელმი დიდი ქებით იხსენიებს იუანშიკაის, რომ იგი დიდი მოხერხებული კაცია და მას ნაპოლეონ ბონაპარტეს ადარებს. შემდეგ ურჩევს იუანშიკაის გერმანიასთან შეკავშირებას და შეერთებულის ძალით ჩინეთიდან ინგლის რუსებ იაპონელების გამოძევებას.

— —

იაპონიის მთავრობამ გერმანელ ვაჭრებს იაპონიაში ვაჭრობა აუკრძალა. ახლა გერმანელებს ერთი ხერხისთვის მიუმართავთ: ისინი პირზე იაპონურ ნიღაბს იკეთებენ და ტანზე იაპონურ ტანისამოსს იცმენ, ასე გამოწყობილ ვაჭრებს თურმე ვერც პოლიცია ამჩნევს და ვერც სადამოჟნო მთავრობა.

— —

საფრანგეთის რესპუბლიკამ იტალიის მთავრობას თხოვნით მიმართა, რომ იტალიამ საფრანგეთს გამოუგზავნოს 4,000 მუშა რკინის გზაზე სამუშაოდ.

## სამხედრო მიმოხილვა

მთავარსარდლის გუშინდელსა და დღევანდელ ცნობებში საყურადღებოა ორი ცნობა. გერმანელთა ჰაეროპლანები მრავლად შესევიან რუსის ჯარის ზურგს და ყუმბარებს ჰყრიან მნიშვნელოვან პუნქტებზე. მეორე ცნობა ეხება სტოხოდის ბრძოლებს, რომლებიც აი უკვე მეორე კვირაა გრძელდება.

ამ ორ ცნობას პირველის შეხედვით არაფერი საერთო არა აქვს. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ სტოხოდის ბრძოლების აზრს და მის მნიშვნელობას ამ ორი ცნობის იდეური კავშირი ცხადი გახდება.

სტოხოდის გადალახვით და კოველისკენ გაჭრით რუსებს სურდათ ავსტრია-გერმანელთა ჯარის ორად გაყოფა და ამნაირად გალიციის შემოვლა ჩრდილოეთით.

გერმანელებმა ამ გეგმის გასაქარწყლებლათ სტოხოდზე და საერთოდ მთელ ვოლინის ასპარეზზე დიდი ძალები შეჰყარეს და თვითვე შეუტიეს რუსებს

რუსებმა არამც თუ უკან დაიხიეს, არამედ წინაც კი წაიწიეს და ბრძოლის პირი მდ. სტირიდან სტოხოდზე გადაიტანეს. გუშინდელ ცნობებით, გერმანელებს „ძლიერი არტილერია წამოუწევიათ წინ". და, მაშასადამე, გადაუწყვეტიათ, რაც ძალა და ღონე აქვთ, მოიკრიბონ და რუსები არ გაუშვან წინ. მხოლოდ, რათა რუსებმა ეხლა ჩრდილოეთითაც არ შეუტიონ გერმანელებს, უკანასკნელებმა თავის საჰაერო ძალები ენერგიულად აამოქმედეს რუსის ჯარის ზურგის წინააღმდეგ.

შვერედი.

## ქართული პრესა.

ბ-ნ ნიკო ნიკოლაძისა და ფედერალისტებს შორის ატეხილ უთანხმოების გამო გაზეთი საქართველო სწერს:

ნ ნიკოლაძე—გ. ზდანოვიჩის გარშემო ატეხილ კამათში საზოგადოების ყურადღებას ჩვენ იმ საკითხებს მივაქცევთ, რომელიც ჭიათურის მრეწველობის ვითარებას ეხება. „სახალხო ფურცელს", როგორც სჩანს, ეს მრეწველობა იმდენად აინტერესებს, რამდენად ამას დამოკიდებულება აქვს ამა თუ იმ პირის მოღვაწეობასთან.

ყოველივე მისი საბუთები, თუ მოსაზრებანი პიროვნებების გარშემო ტრიალებს. ჭიათურის მოღვაწეებს უსაყვედურეს — თქვენ მოიყვანეთ და დაამკვიდრეთ ჭიათურაში უცხოელები, თქვენის მეოხებით გადავიდა უცხოელთა ხელში ეროვნული სიმდიდრეო. „სახალხოს." ეკონომისტები ჭიათურელ მოღვაწეებს ასე ამართლებენ: ქ. ფოთი უცხო კაპიტალით არის ავალიანებული, ნავთსადგურის ასაშენებლად თვით ნიკოლაძეს ხაზინის და უცხო ძალების საშუალება აქვს გამოყენებული. წყალსადენისა და ტრამვაის გასაყვანად ქუთაისის ქალაქმა უცხო კაპიტალს მიმართაო და სხ.

ნუ თუ „სახალხო ფურცლის" ეკონომისტები ვერ არჩევენ რა უდიდესი განსხვავებაა ქუთაისის და ფოთის დავალიანებასა და ჭიათურის მადნების დაკარგვის შორის? ფოთის ნავსადგური და ქუთაისის მომავალი წყალსადენი ვალით რომ შენდება, ამით ნავთსადგური და წყალსადენი უცხოელებს კი არ უვარდებათ ხელში, არამედ ქალაქების საკუთრებად რჩება. სულ სხვაა ჭიათურის მადნების ბედი, როდესაც მას უცხოელები ჩალის ფასად ყიდულობენ ანუ კონცესიური წესით იძენენ. აქ ქონების ბატონ-პატრონად სხვები ხდებიან და მისი შემოსავალიც მათ საკუთრებას შეადგენს, ჭკვიანი მწარმოებელი დიდი სიამოვნებით აიღებს ვალს რაიმე წარმოების შესაქმნელად, თუ ეს წარმოება მას 20 პროცენტს მოგებას მაინც მისცემს, და სესხი კი აღებული ექნება 6—7 პროცენტად. ასეთი ვალი იფარება თვითონ წარმოების შემოსავლით და ამის შემდეგ მთელი სიმდიდრე მწარმოებელს რჩება. სრული ჭეშმარიტებაა, რომ რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობა უცხო კაპიტალმა შექმნა. მაგრამ რუსებს უცხოელებისგან სამრეწველო თანხის სესხის ნაცვლად ყოველი თავისი ქონება მათთვის რომ მიეყიდნათ, დღეს მათ არც მრეწველობა ექნებოდათ და არც სხვა რაიმე ქონება. ერთია უცხო კაპიტალის მოპოვება ეროვნული მრეწველობის შესაქმნელად და სულ სხვაა უცხოელებზე ეროვნული სიმდიდრის გაყიდვა, გადაცემა.

იქნებ არც კი იყოს საჭიროებით სამართლიანი საყვედური ჭიათურის საბჭოს შესახებ, რომ მან ხელი შეუწყო უცხოთა ხელში ჭიათურის სიმდიდრის გადასვლას. საბჭოს დაცვა შეიძლებოდა მხოლოდ ამის უარყოფით, წინააღმდეგის დამტკიცებით [illegible] „სახალხო ფურცლის" [illegible] ამას მაღ დაასკვნიან — უცხოელებისგან ხომ სხვებიც იღებენ სესხსაო. დათვის სამსახურს რად უწევთ თქვენს მეგობარს ბ. ბ. „სახალხოს" ეკონომისტებო?...

„სახალხო ფურცელი"-კი გაწიწმატებით ამბობს:

ლამის არის აშმორებულ წუმპედ გადაიქცეს ჩვენი პრესა. უკიდურესი პარტიული ჟინი, ღვარძლი, გაუტანლობა .. ისე შეეჭვიეთ ქართულ გაზეთის კილოს, ზნეობას, აზროვნებას, რომ წინდაწინვე ვიცით, თუ რა ხასიათის ლაშქრობას დაიწყებს ესა თუ ის ორგანო.

მთელი თავისი სიცოცხლე იმის მტკიცებაში განვლეს დასელების გაზეთებმა, რომ. ნ. ნიკოლაძის კერძო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა უარსაყოფი და მავნებელია, რეტროგრადულია და რეაქციონური. ვერ დავასახელებთ ერთ დასელ მწერალსაც კი ორი აზრის ყოფილიყოს ნიკოლაძის შესახებ, მაგრამ წინააღმდეგ ტრადიციისა, ლოღიკისა და მრწამსისა, რაკი ფედერალისტების გასაწბილებლად გამოადგათ ნიკოლაძე, დაჰკრეს ბუკი და ნაღარა:

„საზოგადო მოღვაწეთა მანტიაში გახვეულ „დანოსჩიკებს" ფარდა ახადეს. გამოირკვა რომ ნ. ნიკოლაძის წინააღმდეგ ბრალდების წამოყენება რამდენიმე გავლენიანი „მოღვაწის" „დანოსის" შედეგი იყო"—

სწერს „თან. აზრი". ვინ გამოარკვია საზოგადო მოღვაწეთა „დანოსჩიკობა"? ნ. ნიკოლაძემ, იმ ნიკოლაძემ, რომლის სიტყვებში დასელები ყოველთვის სიყალბეს ჰხედავდნენ, აზროვნებაში — სიმტყუნეს, პიროვნებაში—ნაკლს — აი ასეთი ვაჟბატონი ყოველ დროს და თითქმის ერთხმად დაგმობილი, დღეს სიმართლის და ჭეშმარიტების მოციქულად არის გამოცხადებული!! რად? რისთვის? განა დასელებს ჩვენი საზოგადო მოღვაწეები აინტერესებს, ან ჩვენი მრეწველობა, ან ჩვენი კულტურა?—რა თქმა უნდა, არა. ფედერალისტების გაწბილება?—აი მათი მთავარი მიზანი, ამაშია მათი მრწამსი და მათი მოღვაწეობის შინაარსი.

ნამდვილად „თან აზრმა" ძლიერ კარგად იცის, რომ ვინც მთელს სიცოცხლეში სიმართლეს გაურბოდა და საეჭვო ღირსების მოღვაწეობას ეწოდა, ხოლო ეხლა ქართველ მოღვაწეთა სამსჯავროდ გოდრის დაწვნაში ვარჯიშობს—სიმართლეს ვერ იტყვის და მაშასადამე ჩვეულებრივ ინსინუაციას აწარმოებს, მაგრამ განა ეს ადარდებს "თან აზრს"?—სთქვა, მოჩმახა, ვინ იცის ეგების ვინმეზე

## იძულებითი განმარტება

(ქართველ ისრაელების) საყურადღებოდ.

(დასასრ. იხ. „სამშობლო" № 392.)

ბავში ჯერ არ დაბადებულა და აბრამს არქმევდენო''. ჯერ თქვენ მოგვიწოდებთ ერთ რამეს და მერმე კი ავტორიტეტიულად გაიძახით, რომ უკვე ,,შემოგპირდნენ'' კიდეც პეტროგადში დახმარებას. ვინ დაგავალათ ან ეს ბ-ნო რაბინო? როგორც ჰგავს თვენ ჩვენი ხალხის დაუკითხავად მიბრძანდებით და ეტლში მეხუთე ბორბლის როლს თამაშობთ. ნუ თუ გგონიათ თქვენ, რომ გათვითცნობიერებული ისრაელ-ქართველები ასეთი არა მკითხაობისათვის ხოტბასა და დიდებას მოგახსენებდით ,ან ოდნავ კმაყოფილებას გამოვხატავდით თქვენდამი?არა, ბატონებო, სცდებით! სცდებით, რადგანაც არა ერთი და ორი ჭირი ან ლხინი გამოგვივლია ისრაელ-ქართველებს და ჯერჯერობით, მადლობა ღმერთს, რუსის ებრაელთა „Общество"-ებისათვის არასოდეს არ მოგვიწოდებია დახმარებისათვის. მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ განათლების ისეთ დაბალ დონეზე ვდგევართ, მაინც უცხოთათვის არ გვითხოვია დახმარება. ასე რომ, პატივცემულო სულიერო მამავ, აწიც უნაყოფო შეიქნება თქვენი ჩრდილოეთისაკენ მითითება. რაც შეეხება იმას, რომ თქვენ ასიმილიაციის" შიშს შეუპყრიხართ, ამაზედაც მოგახსენებთ, რომ ასეთი სიტყვების წაკითხვაზე, ყოველი შეგნებული ქართველი, იქნება იგი მართლმადიდებელი, ისრაელი, მაჰმადიანი, თუ კათოლიკე, სიცილის მეტით ვერაფრით გიპასუხებთ. მკითხავთ, რათა?

თუმცა იმის მტკიცება, რომ ორჯერ ორი ოთხია, ბავშსაც კი არ სჭირდება, მაგრამ, რა კი თქვენ ისრაელ ქართველების ქართველებში გათქვებაზე ლაპარაკობთ და ამის შიში მოსვენებასაც კი არ გაძლევთ, მეც განგიმარტავთ:

ასიმილიაციაზე ლაპარაკი შესაძლებელია იქ, სადაც ერის ერთ ნაწილს, ან თვით ერს გადაგვარება მოელის და მაშასადამე ეროვნულ სიმდიდრის დაკარგვაც. და ჩვენ კი ქართველ ისრაელებს რად უნდა გვეშინოდეს გაქართველების, როდესაც თვით ქართველები ვართ (ეროვნებით,? ამის საბუთს ნახავთ თქვენ, პატივცემულ ივ. გომართლის წერილში: „უბრალო საუბარი, უბრალო მკითხველთან", რომელიც ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება"-ს ამ წლის მე-22 ნომერში არის მოთავსებული. მივითითებთ აგრეთვე მიხაკო ხანანაშვილის წერილზე, რომელიც „სახალხო ფურცლის" მე-№ 607-ში არის მოთავსებული და აგრეთვე თვით ქართულ ისტორიაზედაც. თუ საზოგადოთ ქართულ ისტორიას გადახედავთ, ან კერძოთ ისრაელ-ქართველებისას, ნათლად დარწმუნდებით იმაში, რომ ჩვენ, ქართველი ერის ერთი სხეულთაგანი ვართ და თუ ვინმესგან შესაძლებელია ჩვენი გადაგვარება, ისიც მხოლოდ თქვენისთანა „მოღვაწეებისგან", რომელნიც ცდილობთ რუსის ან სხვა რომელიმე ებრაელთან ერთად ერთ ფარგალში გამოგვამწყვდიოთ. შეგიძლიათ, ბატონო რაბინო, გააფრთხილოთ ქართველი გარუსებისაგან, პოლონელი გაგერმანელებისაგან, ირლანდიელი გაინგლისელებისაგან, მაგრამ შიში ქართველის გაქართველებაზე, რუსის გარუსებაზე, ან ინგლისელის გაინგლისელებაზე კი მეტის მეტად სასაცილოა, რომ მეტიც არ იყოს?! და ნუ თუ ჩვენს, ისრაელი ქართველების გაქართველებაზედ ლაპარაკი აბსურდი და საქმის გაუგებრობა არ არის?

მერწმუნეთ, ბ-ნო რაბინო, რომ თქვენი ცდა, რაც უნდა მოხერხებული არ იყოს ის, კედელზედ ცერცვის მიყრას მიედარება. თქვენგნით გამოწერილი რეცეპტი—სიონიზმი, ჩვენგნით მიუღებელი დარჩება, იგი ჩვენ მხოლოდ მადიანი კბილების რაწკუნით გვერდს თუ გვივლის, თორემ, ვერაფრის გულისთვის ჩვენში ვერ დასადგურდება. და თუ, დაგვიფაროს უფალმა, სიონიზმის ტალღა მოგვხვდა, მაშინ ის იმოქმედებს არა როგორც გამკურნებელი, არამედ, როგორც შხამი, საწამლავი და ჩვენს შემთხვევით ისედაც უნებრივად გაშხამებულ არსებას, მეტის მეტად გაამწარებს. ძალიან კი გსურთ, პატივცემულო რაბინო, თქვენს პოლიტიკურ სიმწიფეში დაგვარწმუნოთ, რომლის ატესტაცია, როგორც სჩანს, უკვე მიღებულიც გქონიათ სიონიზმის მესვეურთაგან, მაგრამ ისრაელ ქართველთა ცხოვრების ოდნავად მცოდნე შეგნებული ადამიანი, თქვენ ასეთს სიმწიფის მოწმობას ვერასოდეს ვერ მოგანიჭებდათ.

არ შემიძლია ამ შემთხვევით არ ვისარგებლო და საილიუსტრაციოდ მარქსისტების ლიდერი პლეხანოვის ინსტრუქციები არ მოვუყვანო ქართველ საზოგადოებას; ის ინსტრუქციები, რომელთაც ის ჩვენს დასელებს აძლევდა ევროპის ქალაქებიდან ის უცხო ქვეყნებიდგან არიგებდა დასელებს, თუ როგორი ცხოვრება და მართვა-გამგეობა სჭირდება ქართველებს. ეს პლეხანოვი კი მისი ინსტრუქციებისა და მიხედვით ისევე უნდა იცნობდეს ქართველ ერს და მის პირ-ვარამს, როგორც მე ვიცი, თუ საითკენ მიილტვიან მარეხის მცხოვრებლები.

მე ვერც კი გავბედავ კამათს იმაზე, რომ სიონიზმის განხორციელება ხსნას და შველას მიანიჭებს რუსის, ან სხვა ებრაელებს; პირიქით, ჩემი ღრმა რწმენა არის, რომ ეს მათთვის ერთადერთი საიმედო გზა არის. რაც შეეხება კი ქართველებს, ჯერ ჩვენ მისი საჭიროება არც გვიგვრძვნია, და ვერც ოდესმე ვიგრძნობთ, როგორც ინგლისელი არ საჭიროებს სიონიზმს. მერწმუნეთ, ქართველო მისიონისტენნო, რომ ისრაელ-ქართველების ქართველთა ოჯახისგან გამოთიშვა, რაც ბუნებრივი შედეგი იქნება სიონიზმის გავრცელებისა, ორგანიულათ შეუძლებელია, რადგანაც ჩვენც, როგორც სხვა სჯულის ქართველები, ერთადერთ ტაფაშიდ ვიწვით. თუ კი ამოვიღებთ ხმას და ვეცდებით ისრაელ-ქართველების ბნელეთისგან გამოყვანას და გაბედნიერებას, ისიც მხოლოდ ერთ ფარგალში. ჩვენ ჩვენმა ქართულმა ისტორიამ ჩაგვაბა თავის ფერხულში და ვერც ავსცდებით მისგან ნაჩვენებ გზას, უკიდურეს შემთხვევაში გავირიყებით სადმე და ხსნაც შეუძლებელი იქნება. თუ ეშველება ტანჯულ ქართველ ერს, მასთან ერთად ჩვენც გვეშველება; და თუ ეს შველა არ მოგვევლინება, დაე, ჩვენც მათთან ერთად მოგვივიდეს, რაც მოგვივა. მაგრამ ჩვენ არ ვფიქრობთ პესიმისტურად, ჩვენ კიდევ შეგვრჩენია მშვენიერი და მომხიბლავი მომავალი და ვეცდებით ერთის ძალღონით ამ მომავლის მოახლოვებას.

ჩვენის შეხედულებით, ჩვენ ქართველებთან სიკვდილს ვამჯობინებდით, ვიდრე თავისუფალ და გაცილებით მეტს კულტურისან შვეიცარიელებთან; მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სიკვდილიც ქართული იქნება. ქართველი ქრისტიანიან მაჰმადიანისგან ყოველთვის უფრო მეტ სანუგეშოს მოველით ჩვენ, ვიდრე რუსეთის ებრაელებისგან, რადგანაც ჩვენ ერთმანეთს ვიცნობთ 20 საუკუნეზე მეტი. ნუ თუ ეს თქვენთვის, ბატონო რაბინო, ცხადი არ არის? ნუ თუ თქვენ მტკიცება გჭირდებათ იმისი, რომ მე ქართული ენა, ქართული კულტურა, ზნე ჩვეულება და სხვა უფრო მესმის და გამეგება და ყოველთვისაც გავიგებ, ვიდრე რუსის, ან სხვა ებრაელების?

ისრაელ-ქართველო მკითხველო! გემუდარებით გულწრფელად მიპასუხოთ ასეთ შეკითხვაზე: წარმოვიდგინოთ, თქვენ უცხო ქვეყანაშიდ ბრძანდებით. იქ შეხვდით თქვენ რუსის, ან რომელიმე სხვა ებრაელს. პატარა ხნის შემდეგ შეხვდით ქართველ ქრისტიანს. რომლის შეხვედრა უფრო მოგგვრიდათ სიამოვნების ჟრუანტელს: რუსის ებრაელის, თუ ქართველი ქრისტიანის? თქვენ მიპასუხებთ ვიცი:-რასაკვირველია, ქართველი ქრისტიანისაო. —

ეს პატარა მაგალითი ერთის შეხედვით უმნიშვნელო გეგონებათ, მაგრამ ფსიქოლოგიურათ კი ბევრს გვეუბნება. თუ კი ზემოხსენებულ მაგალითს ადგილი ექნება, რაღა მტკიცებაა მისი საჭირო, რომ ჩვენ სჯულით ისრაელნი და ეროვნებით ქართველნი ვართ? სარწმუნოება წმინდა რამაა, რომელსაც ჩვენი ქართველობა სრულიადაც არაფერს უშლის, რასაც ის გვიმტკიცებს, რომ 20 საუკუნის განმავლობაში მტკიცედ შეგვინახავს მოსეს სჯული.

რაც შეეხება, ბ ნო ბააზოვო, თქვენგნით წამოყენებულ თეზისს, თითქოს საჭიროა ჩვენში ებრაული ორგანიზაციები შევქმნათ, ამაზედაც მოგახსენებთ, რომ ესეც ზედ მეტია, რადგანაც ასეთი რამეს შექმნა იქ არის მხოლოდ საჭირო, სადაც ერის ერთი ნაწილი მეორესაგან დევნილ და შევიწროებულია. ასეთ ფაქტს ხომ ისრაელ და ქრისტიან ქართველთა შორის დამოკიდებულებაში ადგილი არასოდეს ჰქონია? მაშ, რაღა დაგვრჩენია? მოძმე ქართველებთან ერთად მუშაობა, ქართულ კულტურულ ორგანიზაციესა და დაწესებულებებში წევრობა, რადგანაც როგორც ჩვენ, აგრეთვე მოძმე ქრისტიანებს, ერთი მიზანი და იდეალები გვასულდგმულებს: საქართველოს კეთილდღეობა და მისი ეროვნულად აყვავება სარწმუნოების დარგში კი ჩვენ, რასაკვირველია, უნდა ვეცადოთ, რათა შეურყეველი დარჩეს ჩვენი რწმენა, ვინაიდგან ამას მოითხოვს სინიდისი და ადამიანობა

რამე გავლენა მოახდინოს!*)

რას იტყვის „თან. აზრი" რომ გამორკვეული ბრალდება მტკნარი სიყალბე გამოდგეს? —გაწითლდება? მაგრამ დასელებმა კარგა ხანია დაჰკარგეს გრძნობა სიმართლისა და, რასაკვირველია, არ გაწითლდებიან. ამის უნარიც აღარ შესწევთ. .

„სახალხო ფურცლის" ამ პირად გულისწყრომას, მისი ანარეკლი ქუთათური გაზეთი „ჩვენი მეგობარი" ასე გამოსთქვამს:

ბ-ნი ნ. ნიკოლაძის „ღია პასუხმა" დამსახურებული აღშფოთება გამოიწვია ყველაში, გარდა იმათის (???), რომელთაც არაფერი ისე არ ახარებთ, როგორც ქუჩაში შეკრეფილი ტალახით თავის იდეურ მოწინააღმდეგეთა გასვრათ.

და ვრცელ ფელეტონში ვიღაც „ნ"-ის პირით სცდილობს გაამართლოს ბ-ნი ზდანოვიჩი, დაგვისურათოს მისი მოღვაწეობა და გააბათილოს ბ ნ ნიკოლაძის ნაშრომი და ნამოქმედარი. ეს ფელეტონი ჯერ დამთავრებული არ არის, არ ვიცით ისიც, თუ რა პასუხს გასცემს მას ბ-ნი ნიკოლაძე და ამიტომ ჩვენ გადაჭრით ვერას ვიტყვით.

აღვნიშნავთ მხოლოდ იმ შეუსაბამო კილოსა და მანერას, რომელსაც ხმარობენ ბ-ნი ფედერალისტები თავის წერილებში. ეს კილო და მანერა ჰმოწმობს, რომ „სახალხო-მეგობრელებს" სულის სიმშვიდე სულ მთლად დაუკარგავთ და ჰსურთ, რომ „მაგარ-მაგარის" სიტყვებით თავის მკითხველებს თავს-ბრუ დაასხან.

ჩვენა გვგონია, რომ მოპირდაპირეს გალანძღვა, ან მისი დამცირება ჭეშმარიტებას სრულიადაც ვერ გამოარკვევს. საჭიროა მოკლე, დინჯი და კატეგორიულად დასაბუთებული პასუხი და არა ვექილური კლიმანჭურები. ვინაიდგან, ასე ვსთქვათ, საშუალო მკითხველს ვერავინ დაარწმუნებს, რომ ბ-ნი ნ. ნიკოლაძე ჰაერში ისროდეს სიტყვებს მხოლოდ ვისიმე დასამცირებლად. .

ვსთქვათ, ნ. ნიკოლაძე სცდება კიდეც, მაგრამ განა მისი გალანძღვა, მისი დამცირება გაამართლებს ბრალდებულებს? ჩვენა გვგონია, რომ არა! და ამიტომ კარგს ინებებს ბ-ნი ზდანოვიჩი, თუ თვითონვე უპასუხებს ბ-ნ ნიკოლაძეს, თორემ მისი ვექილები, როგორცა სჩანს, სადაოსაგანს **უფრო დააბნელებენ, გააწვალებენ** და მკითხველი საზოგადოება მხოლოდ დაშვრება, დაიბნევა და სხვა სიკეთეს კი ვერ შეეყრება. .

*) სამართლიანია თუ არა დაფასება ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობისა როგორც დასელებისა, ისე „სახალხოელების" მხრივ—ეს მკითხველებისათვის მიგვინდვია. ჩვენ კი ვიკითხავთ: ნეტა ვიღასღა უკიჟინებენ ფედერალისტები პარ. ქინიანოვ'ას. (რედ.)

„სახალხო-მეგობარი" მეტის ერთგულებით თავისიანებისადმი რომ ახლავე დაიბნენ, ეს, სხვათაშორის, იქიდანაცა სჩანს, რომ ნ. ნიკოლაძის სიტყვები ერთ ადგილს უკვე დაამახინჯეს და „ჩვენ მოღვაწეთა სამსხვერპლოდ **გოდრის დაწვა**" მას, (ნ. ნიკოლაძეს) მიაწერეს (იხ. „სახალხო" № 610, 611, „მეგობარი" № 96) მაშინ, როცა ბ ნი ნიკოლაძე პირდაპირ სწერს:

„მოთმინება იქონიეთ, ბატონო რედაქტორო: ის გოდორი, **რომელიც თქვენმა ამხანაგებმა და თანამშრომლებმა, ბატ. ზდანოვიჩმა, ელზენკირხენის საზოგადოების სასარგებლოდ და თანამშრომლობით დაწნა ჩემდა გადასახხად**, (ხაზი ჩვენია რედ.) მალე ბევრს სხვა მოღვაწეს იმსხვერპლებს ჩვენში. რაკი ყალბი ქაღალდები და ნემეცური აგენტის დესინდეციჩის ჩვენება დოკუმენტებზედაც, ექსპერტიზებზედაც და ნაფიც მოწმეთა ჩვენებაზედაც და უფრო სადასტურო ყოფილა, გულწრფელად ვისურვებ, ჩემზე უფრო მაგარი გულმკერდი ჰქონდესთ იმ უბედურებს, ვისაც მაგ გოდორში უკვრენ თავს გაჭირვებული „საზოგადო მოღვაწენი"".

სიტყვისა, ნათქვამისა და დაწერილის ასეთი, გადაბრუნება როგორსაც სჩადიან ფედერალისტები, ვიმეორებთ, სიკეთეს არ დააყრის არც ერთს მხარეს და მკითხველი კი გამოურკვეველ მდგომარეობაში დარჩება. ჩვენ კი გვინდა, რომ ყველაფერი ნათელ იყოს, ვითარცა მზე.

## 35 წელიწადი.

დღეს, პირველ ივლისს, შესრულდა ოცდა ხუთმეტი წელიწადი მას შემდეგ, რაც სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა თეოფილე იესეს ძე ხუსკივაძე.

მომავალ კვირის გაზეთსა და სურათებიან დამატებაში ჩვენ მოვათავსებთ რამოდენიმე სურათს, ბიოგრაფიას და რამდენიმე ნაწარმოებს ბ-ნ თეოფილე ხუსკივაძისას; დღეს კი გვინდა გულსავსებით მივულოცოთ ჩვენს მშვიდსა და წყნარ მწერალს ოცდა ხუთმეტი წლის მოღვაწეობა, იმ ქონებრივად უმადლო, მაგრამ ზნეობრივად დიდად გამამხნევებელ ასპარეზზე, რომელსაც ქართული მწერლობა ჰქვიან და ვუსურვოთ ხანგრძლივი სიცოცხლე.

რედ.

დღეს, 1 ივლისს, ამა 1916 წ., ჩვენს თანამემამულეს და საზოგადო მოღვაწეს, თეოფილე იესეს ძე ხუსკივაძეს უსრულდება 35 წელი, რაც იგი სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობს.

მთელი თავისი სიყმაწვილის მისწრაფებანი, შრომა და ენერგია ბ. თეოფილემ დ ზესტაფონში დახარჯა. მაგ., მან გახსნა აქ პირველი წიგნის მაღაზია, თეატრის საქმე მან დაიწყო და, საზოგადოთ, ასე თუ ისე, ყოველივე კულტურული საქმიანობა მისგან იწყებოდა, მისგან გვირგვინდებოდა, მისგან ღებულობდა სახეს, მისის მეოხებით ფრთებს ისხამდა, იშლებოდა და საწადმრთო გზისკენ მიდიოდა. დიახ, ეს სიყმაწვილის ხანა, როცა შრომის მოყვარე ადამიანი ლამობს რაიმე კვალი დააჩინოს ცხოვრების სავალ გზაზე, თეოფილე ხუსკივაძემ, აქ, ამ დაბაში გაატარა; მისგან დათესილი თესლი ამოვიდა, ჯეჯილათ იქცა, თავ-თავი დაისხა, განაყოფიერდა; აქ, როცა „სამკალი ბევრი იყო და მომკელი კი ცოტა", თეოფილემ მარჯვეთ მოიქნია ცელი და შეუდგა „ღვარძლის" „იფქლისაგან" გარჩევას; აქ დაირწა მისი შემოქმედების, მამულიშვილური აღმაფრენის, აღტყინების აკვანი; აქ გაიფურჩქნა მისი მოღვაწეობის კუკუკური; აქ რამოდენიმე ხანს იგი იყო ჩვენი მოზარდი თაობის აღმზრდელ-მასწავლებელი, დამრიგებელი, ჩინებული პედაგოგი, სასწავლებელში დედა-ენისადმი სიყვარულის გამღვიძებელი. აქაურ სამსაჯულოში მკვიდრნი მასში ხედვიდენ სიმართლის მაჩვენებელს და სიმრუდის მაძიებელს. შინ თუ პატრონ-მესვეურობდა იგი, გარეთაც ყოველთვის ყველასთან პასუხისმგებელი იყო: ჭირსა თუ ლხინში, ავსა თუ კარგში.

გაითვალისწინეს რა ზესტაფონელებმა კერძოთ ბ. თეოფილეს მათზე მამობრივი ზრუნვა თავისის გამჭრიახობით, შორსგამჭვრეტელობით დ მუყაითობით, ხოლო საზოგადოთ საქართველოსადმი მისი შრომა მწერლობის სარბიელზე გაწევით წრფელის სულით და გულით ულოცავენ მის 35 წლის ნაყოფიერს სამსახურს და მოღვაწეობას და უსურვებენ დღე გრძელობას კვლავ განეგრძოს მომავალშიც მას სამშობლო ქვეყნისათვის სამსახური. ამ ახლო მომავალში განზრახვა აქვთ მათ მიიწვიონ საყვარელი თეოფილე ადგილობრივ, რომ უფრო მეტად გამოხატონ მისდამი პატივისცემა.

ზესტაფონლების მონდობილობით:

ბ. კელენჯერიძე, კ. ანთაძე და გ. საყვარელიძე.

# ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

სამკურნალო მცენარეულობათა ორგანიზატორი, ბოტანიკი ბ. სასნოვსკი გუშინ 11 საათზე გაემგზავრა თბილისს.

✦ კვირას, 3 ივლისს, რეალურ სასწავლებლის დარბაზში სამეურნეო საზოგადოება გამართავს ლექციას, სამკურნალო მცენარეების შესახებ. ლექციას უნდა დაესწროს ყველა ის პირი, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს სამკურნალო მცენარეულობათა მოგროვებაში.

✦ ტყემლის ტყლაპი, რომელსაც სამეურნეო სასწავლებლის გამგე ყიდულობს, უმჯობესია მკვახე ტყემლიდან იყოს გაკეთებული, რომ მეტი სიმჟავე ჰქონდეს.

✦ ოთხშაბათს, 29 ივნისს, დ. კურსებში არჯევანიძის აბანოზე ზ. ჩიხლაძის მეთაურობით გაიმართა წარმოდგენა. წარმოდგენამ კარგათ ჩაიარა, ხალხი ბლომათ დაესწრო და ნასიამოვნებიც დაიშალა.

✦ მუშების მოტყუება. ბ. ს. ბაქრაძეს, მოუგროვებია ქუთაისში მუშები და გარიგებია მათ სამ მანეთად დღეში; როდესაც სამუშაო ადგილას ჩაუყვანია და ბილეთები ჩამოურთმევია, საჭუშაო ქირად ორ-ორი მანეთის მეტი აღარ მიუცია, და თან საშუალო დროსთვისაც მოუმატებია.

✦ წელს ქუთაისის საეპარქიო სასწავლებელში 8 კლასი დაასრულა 22 მოწაფემ: ნინუა ვერა (ოქროს მენდლით), ბერიძე მარიამი (ვერცხლის მენდლით), ბრეგაძე კალისფენია (ვერცხლის მენდლით). გრიგოლია ნინო, გელოვანი ვერა, დოლონაძე მარიამი, თოხაძე ტერეზია, კაპანაძე მარიამი, კვინიკაძე ლიუდმილა, კუპაიძე ნეონილა, მაჭავარიანი ცეგორიტა, მჟავანაძე დომინიკა, ნატრიაშვილი ნინო, რიჟამაძე მაკრინე, სოხაძე ანა, ფარცხავა თამარ, ფარცხაძე ალექსანდრა, ქავთარაძე ნინო, ხოჯავა ელისაბედ, ხოჯავა ლიუდმილა, შანიძე ელისაბედ და ტყავაძე სერაფიმა.

✦ გუშინ, 29 ივნისს, ქალაქის თვითმართველობაში გამოცხადდენ დაახლოებით 40 მცხოვრები რომლებმაც განუცხადეს, რომ ის შაქარი, რომელიც ამ დღეებში ჩამოვა, აქ სავსებით გადასცენ „კოოპერაციას". ამ მოთხოვნილებას, ანუ განცხადებას ისინი ასაბუთებდენ იმით, რომ ვაჭრები შაქარს გადამალვენ, დიდ ნაწილს გაყიდიან სოფლად 15 მან. ფუთს და სხვა. ეხლა რომ შაქარი შეიძინო საჭიროა პროტექცია და სხვა. ერთადერთი საზოგადოება, რომელსაც შეუძლია წესიერად დ სამართლიანათ გააწესრიგოს შაქარი, არის მომხ[illegible] საზ. მათ, სხვათა შორის, მიუთითეს თვითმართველობას, თუ როგორ საუცხოოდ[illegible] სამართლიანათ და თანაბრად [illegible] „კოოპერაციამ" წინეთ შაქრის [illegible] დროს, დიდი მეცადინეობით შეძენილი შაქარი, მოქალაქეთა ყველა წრეში.

როგორც ხმები დადის, მსგავსი თხოვნით სურთ მიმართონ მის ბრწყინვალებას ბ-ნ გუბერნატორს.

საჭიროა ხალხის ხმას ანგარიში გაუწიონ და დააკმაყოფილონ.

## შველა მეცადოთ.

დედა მიწაზე ისეთი კუთხე არ არის ყოველმხრივ საინტერესო, როგორც ჩვენი კურთხეული სამშობლო. თითქოს განგებას განზრახ მოუწყვია ისე, რომ ადამიანს აქ არაფერზე გული არ დაწყვეტოდა. სწორეთ საკვირველია, რომ მეცნიერების ყოველი დარგი თავის დასამუშავებელ მასალას აქ უხვად პოულობს.

ყოველგვარი გამოკვლევისათვის აქ დაუშრეტელი წყაროა. ამ მხრივ კავკასიას აქამდიც ექცეოდა მეცნიერთა ყურადღება; მაგრამ დღეს ყურადღება გაორკეცებულია და მომავალში ვინ იცის ჩვენი ქვეყანა ამის გამო რა სახელს არ მოიხვეჭს. ყოველ მხრივი შესწავლა ჩვენი ქვეყნისა უკვე დაიწყო, დგება ახალი ხანა კავკასიის ისტორიულ ცხოვრებაში, ეს ხანა სასახელო და საყურადღებო შედეგით დასრულდება ამის თავდებია ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე, ამის საბუთებს იძლევა კატეგორიული დასკვნა ზოგიერთი მეცნიერული გამოკვლევისა.

ავიღოთ თუნდა მარტო არქეოლოგიური მხრით. რვაასი ვერსის სიგრძე-სიგანეზე რვა ათასი საყურადღებო ნაშთია; აქ ისტორიული ადგილი, იქ ნანგრევი, აქ ციხე, იქ ხიდი, აქ გამოქვაბული, იქ თავშესაფარი და სხვა.

სულ თვალ წინ გიდგიათ ხან აუარებელი ნიმუში საუცხოვო ხუროთმოძღვრებისა, ხან ორიგინალური მხარე მხატვრობისა, ხან საამური კილო მუსიკისა, ხან ღრმა აზროვნება ბრძენისა და სხვა. ყველაფერი თქვენ ყურადღებას იყრობს, ყველაფერი საგულისხმო რამეს გეუბნებათ. პატარა ქვეყანაა ჩვენი სამშობლო, მაგრამ უხვი ისტორიული განძია აქ შენახული; აქ ყოფილა ჩამალული 500 საუკუნის ნაშრომი და ნაოფლარი კაცობრიობისა. ბევრი რამ ითქვა კავკასიაზე მაგრამ ეს ცოტაა შედარებით მასთან, რაც უნდა ითქვას ნაყოფიერი აწმყო და ბრწყინვალე მომავალი ფარდას ახდის მიმალულ საუნჯეს და მთელი სიდიადით გამოაჩენს დიდებულ წარსულს. აი, სწორეთ წარსულის სიდიადეში ვეძებთ და კიდევაც ვპოებთ ბრწყინვალე მომავლის დასაწყისს. თუ დღემდი არქეოლოგია იშვიათი პირებს აინტერებდა და მარტო არი-

ჩვენ, ისრაელი ქართველობა, იმას კი არ უნდა ვცდილობდეთ რომ სხვა, რომელიმე ჩვენთვის უცხო ერებს შევუერთდეთ, არამედ უნდა მთელის ჩვენი ძალღონით მივისწრაფოდეთ ქართულისაკენ, წმინდა ქართველი შვილები აღვზარდოთ ჩვენს დედა სამშობლოს შევსწიროთ თავი, რადგანაც მხოლოდ ამ სამშობლომდა დაგვინდო ჩვენ და 2000 წელზე მეტია გულზე მაგრათ მიგვიკრა, ქართული იავნანით ჩაგვიტკბო უმანკო ბავშური ძილი აკვანში და არა სხვა რომელიმეთი. ჩვენთვის საქართველოს დედინაცვლობა არ გაუწევია და რად უნდა გავყვეთ ჩვენ იმ გზას, რომელიც გერებათ გვაქცევს?

სად უნდა ვეძებოთ ჩვენ მისი მიზეზი, რომ სომხები დღითი-დღე გვცილდებიან და არ ვიცით ხვალინდელი დღე რას მოგვიტანს, ისეა ამ საკითხის გარშემო დაჭიმული ძარღვები? მიზეზი სწორეთ ასეთ გამოთიშვის სურვილში უნდა ვეძებოთ. ამ გამოთიშვას მოჰყვა ის, რომ ქართველი გლეხისა და მუშის სისხლით შეძენილ სიმდიდრეს სცდილობენ სომხები ხელთ იგდონ და ამაზე აღმოცენდა ქართველ-სომეხთა დამოკიდებულების გართულება. ის სიმდიდრე, რომელსაც სომხები საქართველოში იძენენ, აქვე რომ რჩებოდეს, არც დამოკიდებულება იქნება ორ მეზობელ ერთა შორის ასე გართულებული ის კაპიტალი საქართველოს კი არ ხმარდებოდა, სომხეთის ეროვნულ იდეას. ჩვენს, ისრაელნი სომხების მსგავს რამეს ვერ ჩავიდენთ დ თქვენგნით ნაჩვენები გზა კი სწორედ აქეთკენ სცდილობს ჩვენს წაყვანას. ისრაელ-ქართველი შეიძლება შეგნებულიც არ იყოს, მაგრამ მასში ლაპარაკობს ინსტიქტიურად ქართველი და სწორედ ეს ინსტიქტი უთითებს მას სწორი გზისკენ. ჩვენ არასოდეს არ გვიფიქრნია ებრაულ ეროვნულ იდეაზე და ვერც არასოდეს ვერ ვიფიქრებთ ამაზე. ჩვენში არსებობს მხოლოდ ქართული ეროვნული იდეა და ამიტომაც არის, რომ ის კაპიტალი, რომელსაც ისრაელი-ქართველნი აწარმოებენ, პალესტინაშიდ არ იგზავნება.

ამ ფრიად სასიამოვნო მოვლენას, ბ-ნო ბააზოვებო, ჩაკვირვება სჭირია, უფრო მეტი განმტკიცებაც, თორემ ვშიშობ, რომ თქვენისთანა მოღვაწეებმა, როგორც, აღვნიშნე, დათვის სამსახური არ გაგვიწიოს.

ან კი ნუ თუ წარმოსადგენია ჩვენი სხვაფრივად მოქცევა? შეიძლება ჩვენი ისრაელი-ქართველნი არც ფრანკფურტში ყოფილიყვნენ და არც პეტროგრადში, მაგრამ მათ უკეთ იგრძნეს თავისი ვინაობა, ვიდრე თქვენ შეგნებულმა და განათლებულმა. მათი გზის დაბნევა კი, რასაც თქვენ, შეიძლება უნებლიედაც, ლამობთ, ისეთი ცოდვაა, რომელიც არ ეპატიება შეგნებულ ადამიანს.

ჩვენ უკვე ვხედავთ ისრაელ ქართველებში სწავლა-განათლების წყურვილს და ამ ხუთიოდე წელში თვალსაჩინო მაგალითსაც მიაღწიეს მათ. თუ 5—10 წლის წინეთ არცერთი ისრაელი ქართველი არ მოიპოებოდა სასწავლებელში, ახლა უკვე ასობითა და 150-ბით შეგვიძლია დავინახოთ, გნებავსთ საშუალოში და გნებავსთ უმაღლესშიაც, ქალებიც კი, თქვენ წარმოიდგინეთ! ასეთი წინმსვლელობის შეჩერებას ჩვენში აწი ველარაფერი ვერ შესძლებს, ამაში თქვენც დამეთანხმებით.

ამას გარდა, ბ-ნო ბააზოვო, თქვენს წერილში მოხსენებულია, თითქოს ჩვენს მოზარდ თაობას არ ესმოდეს საკუთარი ერის ისტორია, ლიტერატურა და სხვა. თქვენ ამაში ძალიან სცდებით, ვინაიდან რამდენათაც შესაძლებელი იყო აწინდელ პირობებში, ჩვენ კიდეც შევისწავლეთ ქართული ისტორია; და ლიტერატურას ხომ მოსწავლე ახალგაზდობა კი არა, თვით ძველებიც სიამოვნებით ეკიდებიან, ვინც კი ქართული წერა-კითხვა იცის? და თუ თქვენ ებრაულ ისტორია-ლიტერატურას ჰგულისხმობთ, აკი ზევით მოგახსენეთ, რომ ჩვენ ასეთ მოვალეობას სრულიადაც არა ვგრძნობთ? და რაც შეეხება ენას, ამაზედ გაგიმეორებთ, რომ რამდენადაც ჩვენთვის ლაშონაკოდები საჭირო არის, იმდენად ჩვენ მას არც დავივიწყებთ და უფრო და უფროც განვამტკიცებთ, რადგანაც ეს ენა ჩვენ გვესაჭიროება ჩვენი ღვთისადმი სამსახურისთვის, არც მეტი დ არც ნაკლები. სარწმუნოების გარეშე კი ჩვენთვის ყოფილა და იქნება ქართული და მხოლოდ ქართული პირველ ადგილზე დაყენებული. ეს გათვალისწინებული გვაქვს ყოველთვის და ასეც არის.

ჭეშმარიტად არა მსურს წერილის გაგრძობა, მაგრამ გულგრილად ვერ შევხვდები ბ ნ ბააზოვის წერილის იმ ადგილს, როცა ის ჩვენს დედებს ეხება.

ბ-ნო რაბინო, ჩვენი დედები არც თქვენი და არც სხვა რომელიმე ოვების, მონების, და შტეინების ხელწამოსაკრავი არ გახლავსთ. მათ შეძლებისადაგვარად პირნათლად შეასრულეს თვისი მოვალეობა და „დაალვარეს საკუთარ ბავშვის ლოყებს" სწორეთ ისეთი გულწრფელი და მხურვალე ცრემლები ქართული იავნანას ჩამღერით, როგორიც უნდა დაეღვარათ. რაც შეეხება ბიალიკის.—აკვნის სიმღერას—მე არ ვეჭვობ, რომ ის ტალანტიურათ და ნიჭიერათ არის შედგენილი, მაგრამ ჩვენი ბავშის სულსა და გულს ისე არ მიეკარება მისი ნანა, როგორც რომელიმე უსულო საგანს, რადგანაც მასში ქართველი სულდგმულობს და არა პალესტინელი: ასე რომ ამ შემთხვევაში ბიალიკის ნანა არამც თუ დააწყნარებდა და გულს დაუტკბობდა აკვნის ბავშს, არამედ, მე მგონია, ძილსაც კი დაუფრთხობდა, რადგანაც ის მისთვის უცხო იქნებოდა და შეუფერებელიც.

ჩვენს ბავშვებს არ სჭირიათ პალესტინური სულის ჩანერგვა, მათ უკვე აქვთ საკუთარი ქართული და ასეთივე შთაგონებათ მომავლშიაც, ბევრიც რომ არ გესიამოვნოთ თქვენ, ბ-ნო ბააზოვო!

სამწუხაროდ თუ სასიხარულოდ მხოლოდ კი ფაქტი ფაქტათ დარჩება, და ნურც აწი იქნებით იმის მოლოდინში რაც თქვენა გსურთ, მხოლოდ კი ჩვენ, თქვენგნით გზა დაუბნეველი ახალგაზდა სტუდენტები, თქვენ ვერ გამოგყვებით ჩვენდა სასიხარულოთ, სანამდი ჩვენს შორის რაიმე შემაერთებელი ძაფი არ გაიბმება. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც არამც თუ ცარიელი ენით, არამედ გულწრფელი საქმითაც არ დაგვანახებთ, რომ ჩვენთვის სიონის ხმის გზით სიარული მეტად მავნებელია. ჩვენ ახლა გზაბრუნდი კი არა და ნამდვილი რეალური ნაბიჯების გადადგმა გვესაჭიროება და, თქვენ კი, ჰალლახმა უწყის, როგორი ოღრო-ჩოღრო და უკუღმართ გზისკენ მიგვითითებთ.

ჩვენ სიამოვნებით გამოგვყვებით იმ გზით, რომელიც ჩვენ წაგვიყვანს „აღორძინებისაკენ", „სულიერათ გვიშველის" და „არც მოზარდთა ნიჭს დაგვაკარგვინებს", მხოლოდ კი, სანამ პირში სული გვედგმის, არ გავუშვებთ ჩვენს სულიერ მამებს—რაბინებს.—იმ გზით, რომლითაც თქვენგან გაღმერთებული „დიდი რაბინები" დადიან და „რომელნიც დაუღალავად შრომობენ" „ჩვენი" ერის საშველათ (რომელი „ჩვენი" ერის?)

თუმცა ეს წერილი საკმარისად აშუქებს ბ-ნ ბააზოვებსა და მათ თანამოაზრეებს, მაგრამ ერთ მათგანს რომ ცოტაოდენი შეგნება ესაჭიროება, ამაზედაც არ ვეჭვობ.

სახელდობრ ბ ნ ა. ჩაჩაშვილს, რომელსაც "სახალხო ფურცლის" მე-№447-ში მოთავსებული აქვს წერილი ქუთაისის რაბინის წინააღმდეგ. ბატონო ჩაჩაშვილო, ძალიან მსურს ვიცოდე, გესმისთ თუ არა თქვენ სიტყვა „ცილის წამება" და „სიონიზმის" მნიშვნელობა? მე დარწმუნებული ვარ, რომ არ გესმისთ, თუ არა თქვენ, ბ-ნ ელუაშვილის სიტყვებს: „ონის რაბინი სიონიზმის მომხრეა და სურს ქართველებს ებრაელობა ჩამოაშოროს..." სრულიადაც არ მოეპოტიალებოდით. ნუ თუ სრული ჭეშმარტიბა არაა, რომ ონის რაბინი ბ-ნი ბააზოვი სიონიზმის მომხრეა? ამის წინააღმდეგში რწმუნება ჩემთან არ გამოგადგებათ. ჩვენ, ისრაელ ქართველებს—სრულიადაც არ გვაინტერესებს სიტყვების რახა-რუხი. სიტყვას საქმე უნდა მისდევდეს, თორემ ენას ძვალი არ აბია და განუწყვეტლივ შეუძლია აქეთ იქით იტანტალოს.

უმორჩილესად ვსთხოვ პატივცემულ მკითხველს, ნუ ჩამომართმევს ამ სიტყვებს, ვითომ მე ბ ნი ელუაშვილის დაცვა მსურდეს. ეს სრულიბდაც არ შეადგენს ჩემს მიზანს; მე მსურს მხოლოდ ჭეშმარიტების აღდგენა და ზოგიერთა დაბრმავებულის თვალების ახილვა.

რაც შეეხება მას, თითქოს ბააზოვს ჰსურდეს, ქართველობას „ებრაელობა" ჩამოაშოროს, მხოლოდ იმას დავსძენ, რომ ასეთს სურვილებზე ვერავინ ოცნებასაც კი ვერ გაჰბედავს და მეც ვერ დავამტკიცებ, რომ ბააზოვს მართლაც სურდეს ჩვენი განცალკევება; მხოლოდ თქვენისთანა პირების მოღვაწეობას შეუძლია ზოგიერთები მთლად დააბრმავოს და მოინდომოს ასეთი გზით სიარული.

თუ კი ვინმეს მოღვაწეობა ჩვენ ასეთ რამეს გვიკარნახებს, მაშინ სასტიკად შევებრძოლებით მათ და დავუმტკიცებთ კიდეც, რომ ცეცხლზე მოკეკლუცე პეპელს პაწია ფრთებიც მოერუჯება და სამუდამოთ ძირსაც დაეშვება.

ი. ხ—შვილი.

სტოკრატიის წილად ითვლებოდა, დღეს ეს საგანი ფართო წრეს აინტერეზს, დღეს ეს ნაწილი ყველასთვის საჭირო შეიქმნა და მას თითქმის საერთო ყურადღება ექცევა. ამ მხრივ დიდი ევოლიუცია მოხდა საერთოდ ყველგან და ჩვენში განსაკუთრებით. მართლაც, მრავალ მნიშვნელოვანი და არსებითად საჭირო რამ არის არქეოლოგია. წარსულის გამოკვლევა, წარსულის ნათლათ ვშუქება, და მისი აწმყოსთან შეკავშირება არის აწმყოს დასაბუთება და მომავალის უზრუნველყოფა. ამას ცდილობს მთელი კაცობრიობა, ამას ვცდილობთ ჩვენც და ღრმათ დარწმუნებული ვართ ჩვენ არ ვსცდებით, ჩვენ სწორ გზას ვადგივართ და ჩვენი შრომა ნაყოფს გამოიღებს.

დღემდი უცხოელები გვასწავლიდენ ჩვენი ქვეყნის ღირებულობას, ისინ გვითითებდენ ჩვენი სიმდიდრისაკენ, მათი თვალებით ვიხედებოდით და მათი კალმით ვერკვეოდით. დღეს კი ჩვენ მკვიდრთა შორის აღორძინდა სამეცნიერო ძალები. დღემდი ვინმე მოგზაური იყო ჩვენი მოამბე, შინაურ ამბებს შორიდან ვიგებდით, დღეს კი ოჯახშივე გვესმის საამური ხმა მეცნიერებისა. არქეოლოგიაზე დიდ იმედებს ვამყარებთ და ეს სრულიად სამართლიანიცაა. არქეოლოგიის საშუალებით აღვადგენთ ჩვენი სამშობლო ქვეყნის დიდებულ სურათს, რომელიც მსოფლიო პატივისცემას დაიმსახურებს. აი, სწორეთ ამ ნიადაგზე აღმოცენდა ჩვენში იდეა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსებისა და ქართული მუზეუმის მოწყობა.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ქუთაისში ქართული მუზეუმის დაარსებას საზოგადოება თანაგრძნობით შეხვდა და ყველამ, ვისაც მივმართეთ, სამუზეუმო ნივთები მოგვაწოდა. რამდენათ სასარგებლოა ეთნოგრაფიული მუზეუმი, სადაც შეკრებილი და რიგზე დაწყობილი იქნება ჩვენი ქვეყნის სიძველენი, დღეს ეს ყველასათვის ცხადი წარმოსადგენია.

რას გვეუბნება ჩვენი წარსული და რას ღაღადებენ ძველი ნაშთები, ამას მომავალში ვრცლათ გავუზიარებთ ჩვენს მკითხველს, ახლა კი მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ქუთაისში აწი შესაძლებელი იქნება მეცნიერული მუშაობა, შესაძლებელი იქნება აქ გავიგოთ ის, რისთვისაც ქვეყანა უნდა შემოგვევლოს, მუზეუმის დაარსება და მისი მოწყობა საეროვნო საქმეა, კერძო ინიციატივა აქ მხოლოდ გზის მაჩვენებელია. ყველას დახმარება გვჭირდება, შესაფერ პირობებში ყველა უნდა ავამუშავოთ, მთელი ერის საერთო მუშაობამ უნდა შექმნას მუზეუმი—ნამდვილი საღარო სამეცნიერო სიმდიდრისა. დიდ დახმარებას გაგვიწევს ყველა, ვინც მუდმივ სოფელში ცხოვრობს და ხალხში ტრიალობს, მაგალითად, მღვდელი, მასწავლებელი, ექიმი, ფერშალი, მრეწველი და სხვა მოხელე. თითოეული მათგანი, თუ ყურადღებას იქონიებს, ადვილად შეხვდება ოჯახებში რამე სიძველეს. მათ ორი სამი სიტყვით შეუძლიათ ეს სიძველე ჩვენსკენ გამოგზავნონ და ამგვარად დაკარგვისგანაც იხსნან და მეცნიერების საგნათაც გახადონ. ზოგიერთი სწორედ ნათლათ ასრულებს ჩვენ ამგვარ დავალებას და ერთგულად ემსახურება ამ წმინდა საქმეს. მათი მოღვაწეობა და თანაგრძნობა აღნიშნული აქვს გამგეობას და მომავალში სავსებით ეცნობება საზოგადოებას. ეს დახმარება და თანაგრძნობა ზნეობრივად გვამაგრებს ყველას, ვინც ვიკისრეთ ეროვნული მუზეუმის მოწყობა. დღეს საჭიროა დამხმარეთა წრე გაფართოვდეს, ყველამ მიიღოს მონაწილეობა ამ საქმეში, თითოეულმა ჩვენგანმა დაისახოს მიზნათ, რომ ამ იდეას ყურადღებით მოეპყრას და ემსახუროს, მით უმეტეს, რომ ეს სრულებით ხელს არ უშლის კერძო სამსახურს და არც დიდ ფიზიკურ შრომას მოითხოვს. პირიქით, ასეთი მოღვაწეობა ყველას ხალხთან დააახლოვებს და ამ წმინდა იდეას გაავრცელებს. ამ საქმეში უმეტესათ აზრი და გული მუშაობს. დროა შევიგნოთ, რომ საჭიროების შეგნება და საქმის სიყვარული არის ნიადაგი, რომელზედაც ემყარება და ხარობს ყოველი საზოგადო საქმის სამსახური. ყველა ვეცადოთ და ეს დიდებული საქმე გავაკეთდება. ამ მიმართულებას უნდა დავადგეთ, ასეთი მაგალითი უნდა მივსცეთ ყველას და ჩვენი მომავალი თაობა ამ რიგზე უნდა აღვზარდოთ, საზოგადო საქმის სამსახური ყველასათვის მოვალეობათ უნდა გადაიქცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ერის აღორძინება შეუძლებელია. სამწუხაროთ ზოგიერთი გვერდზე გამდგარა და ფიქრობს, მე ჩემი საქმე მაქვს დ საზ. საქმეს სხვა გააკეთებსო. შეუწყნარებელია ასეთი შეხედულება, რომელიც შეუგნებლობლობის ნაყოფია. ჭეშმარიტმა კულტურამ უნდა წაშალოს ეს და საზოგადოებრივი მიდრეკილება განავითაროს. ეს მაინც ასე მოხდება, მხოლოდ სასურველია, რაც შეიძლება, მალე მოხდეს.

ტრიფონ ჯაჯანიძე.

## უბედური შემთხვევა.

23 ივნისს დ. წალვერში მცხოვრების მიხეილ კაჭუნაშვილის ოჯახში საშინელი ამბავი დატრიალდა:

დილით, მიხეილი თავისი შვილებით ჟორჟიკათი (5 წლის) და გრიშათი (3წლის) წავიდა წისქვილზე, რომელიც ამავ სოფელში ტყის ახლოს იყო. მამა ბავშებს დასცილებია და თავის საქმეს შესდგომია, ბავშები კი ტყისაკენ წასულან. ჟორჟიკას იქ სოკო უპოვია, რომელიც მოუგლეჯია, ნახევარი შეუჭამია და ნახევარიც კი ძმისთვის გაუზიარებია. ბავშებს მაშინვე მუცელი ასტკივნიათ და სახლისკენ წამოსულან. გზაზე გრიშა უგრძნობლათ წაქცეულა, ძმას აუყვანია წაქცეული ბავში და სახლამდის უთრევია. დედას რომ ბავშისათვის შეუხედავს, უფიქრია, სძინავსო და მაშინვე ლოგინში ჩაუწვენია, თვითონ კი სადილის კეთებას შესდგომია ჟორჟიკა შიშისაგან დედას ვერაფერს ეუბნებოდა, გალახვის ეშინოდა. შემდეგ, როდესაც ტკივილებმა გაამწარეს საცოდავი ბავში, გავიდა სამზარეულოში და დედას უთხრა! „მე და გრიშამ სოკო ვსჭამეთ და მუცელი მტკივაო“, ბავშს მაშინვე კისერი მოექცა და მიწაზე დაეცა შემდეგ მიხვდენ, რომ გრიშაც მოწამლული ეგდო ლოგინზე და არა დაძინებული. მაშინვე მივარდენ მასთან, მაგრამ იგი მკვდარ-ცოცხალი აღმოჩნდა, მისი მორჩენის იმედი ადამიანს არ ქონდა.

მიმართეს ექიმ წულუკიძეს, რომელიც საავარაკოთ იყო მოსული; მან მაშინვე მიიღო ყოველივე ზომა, არ მოსცილებია მოწამლულ ბავშს, ვიდრე გრძნობაზე არა მოიყვანა. ბავშვები მორჩნენ.

დიდი მადლობის ღირსია თავადი ალექსანდრე (ალიკო) პეტრეს ძე წულუკიძე უსასყიდლო შრომისათვის, რომელიც მან აღმოუჩინა კაჭუნაშვილის ღარიბ ოჯახს.

საზოგადოთ, ახალგაზრდა ექიმი დიდ შრომას ეწევა ავადმყოფ ღარიბ ხალხზე, და თითქმის უსასყიდლოთ.

დიდი მადლობის ღირსია აგრეთვე მარიამ თურქიას-ასული ხოტივარისა, რომელმაც უსასყიდლოთ გაუკეთა ბავშებს ნემსები

თამარ მესხის—ასული.

## პატარა ფელეტონი.

### „მემარჯვენეთა თათბირი“

საზაფხულო ბაღში „პარლამენტის მემარჯვენე“ დეპუტატებს თავი მოეყარათ ყველას სახეზე რაღაც შეწუხება ეტყობოდა...

დეპუტატებს შუაში დაეჯინათ მათი უხუცესთ უხუცესი მარკოვი მეორე...

მარკოვ მეორემ შუბლზე ოფლის მოწმენდის შემდეგ რუსეთის „ჭეშმარიტ“ წევრთ მოახსენა:

— გაიგეთ უბედურება? ჩვენი მთავრობა ჩვენ არაფრად ჯვაგდებს, ის სრულიად გადაყვა ბრძოლის ველს და შინაურ უბედურებათ კი ყურადღებას არ აქცევს. განა ვერა გრძნობთ, რომ რევოლიუციონერები დამხობას გვიპირებენ. მათ საზღვარგარეთ მოუწყვიათ კომიტეტი და მის მეთაურობით მოქმედებენ... საჭიროა მათ წინააღმდეგ სასტიკი ზომების მიღება, თორემ ხედავ რა კაცები ჩამოაშორეს სამოღვაწეო ასპარეზს .. მათი მსხვერპლი შეიქნენ: საბლერი, რუხლოვი, მასლოვი და ვინ იცის კიდევ რამდენს ემუქრებიან. თუ მთავრობამ არ შეიწყნარა ჩვენი თხოვნა, ჩვენ თითონ უნდა მივიღოთ საჭირო ზომები...

დიაღ! სისხლით დავიცვათ ჩვენი ღირსება, ჩვენი ძლიერება ..

დავიცვათ,, დავიცვათ! შეჰყვირეს ერთხმად...

ამ დროს მაღლიდან რომელიღაც ფრინველებმა გადაიფრინეს... მათ ჟღივილზე ერთი მოხუცი მემარჯვენე დარეტიანებული წაბარბაცდა და დაიყვირა... არიქა, გვიშველეთ... რევოლუციონერებმა მოადწიეს, ჯარი, ბარიკადები...

დეპუტატები მივარდენ და ბაღში სხვადასხვა ხეს მტვრევა დაუწყეს და ბარიკადების კეთებას შეუდგენ.

ყველა „თავდაცვისათვის“ მომუშავე ოფლად გაღვარა, საშინელი ქშენა დაიწყეს. ამ დროს წამოვიდა კოკისპირული წვიმა...

„მომუშავეთ“ თავზრუ დაესხათ, ნახევრად დასოვლებულებმა თავრიდის სასახლის დერეფანს თავი შეაფარეს...

წვიმის გადაღებისას, დეპუტატები ძლივს გონს მოვიდენ. წამოდგა მარკოვ მეორე და დაიწყო:

საჭიროა პროვინციებში დაიგზავნოს „მცველები“, ინოროდცების მხრივ დიდი სიფრთხილე გვმართებს...

უნდა აიკრძალოს ყოველივე ყრილობა სასურსათო საკითხისა და კოოპერაციის შესახებ; უნდა შევევედროთ სახელმწიფო საბჭოს, რომ მან არ მიიღოს გლეხთა უფლებრივი გათანასწორების კანონი, უნდა მოვსპოთ საერობო რეფორმის პროექტი და უნდა შემოვიღოთ უფრო სასტიკი ცენზურა...

დიაღ, ყოველ ფრონტზე უნდა ვიბრძოლოთ, თორემ ისე „სტატუს ქვოს“ არვინ შეგვარჩენს..

ფიცი მიიღოს ყველა ერთგულმა, რომ არაფერს შეუშინდება და მემარცხენეებს სასტიკად შეებრძოლება.

ფიცი, ფიცი... გაისმა საერთო ყვირილი.

დეპუტატები ფიცს ღებულობენ... მარკოვ მეორეს თვალი თავრიდის სასახლის კედლებისათვის მიეპყრო და თავისთვის ამბობდა: ნუთუ არც ეხლა იქნება რამე ..

ფიცი ხელთ მიპყრია.. ყველა. მტერს თავზარს დავსცემ.

Ser·

## ქართული სამეცნიერო და საფილოსოფოსო ტერმინოლოგია.

იოვანე პეტრიწის თარგმანის მიხედვით.

ჭ.

**ჭეშმარიტი**, истинное.

**ჭიმადი, ჭიმადობა**, упругій, упругость; ამ ტერმინის ნაცვლად პეტრიწის ბერძნული სიტყვა აქვს ხმარებული; ეს ტერმინი კი, ჩემი ფიქრით, კარგად ხატავს იმას, რასაც რუსულად ეწოდება: упругій.

**ჭურჭელნი**, сосуды; აქედან: სისხლის ჭურჭელნი, кровеносные сосуды.

ხ.

**ხამს**, ჯერარს, უნდა, слѣдуетъ, надлежитъ.

**ხამსისაებრ**, надлежащимъ образомъ.

**ხამსი**, надлежащій.

**ხანი**, разстояніе.

**ხარისხი**, степень.

**ხედვა**, видѣленіе, зрѣніе.

**ხედვითი**, созерцательный, теоретическій.

**ხელოვანი**, художникъ.

**ხელმწიფება**; ჩვენს ხელმწიფებაშია, въ нашей власти.

**ხელყოფა**, заниматься.

**ხილვადი**, то, что возможно видѣть.

**ხმებრივი**, (ორღანო), голосовой (органъ).

**ხმებრიობა**, способность издавать звуки.

**ხიელი** (ტანი), твердое (тѣло).

**ხმელითი**, (ცხოველი), земноводное (животное).

**ხვთქი**, крокодилъ.

**ხონდრო**, шероховатый (ბერძნული).

**ხორხი**, гортань.

**ხრწნადი**, разможимый.

**ხრწნილი**, разлагаемый.

**ხრწნილება**, размноженіе.

**ხსენება**, запоминаніе, память.

**ხუავი**, куча.

**ხუმირი**, წისქვილის სახვარბლე.

**ხუროჲ**, плотникъ, каменщикъ, художникъ.

**ხუროვნებაჲ**, зодчество.

**ხშირი**, плотный; აქედან: დახშირება, дѣлаться плотнымъ.

ჯ

**ჯეროვანი**, приличный, достовѣрный.

ჰ.

**ჰაერის საცავი**, „пневматическій органъ.

**ჰასაკი**, возрасть.

**ჰმოძღვრის**, ასწავლის, убѣждаетъ, учить.

ვასილ წერეთელი

## რუსეთი.

ლონდონის ბაზარზე რუსეთის ფასიან ქაღალდების ღირებულებამ აიწია.

რუსეთ-იაპონიის შორის სავაჭრო ხელშეკრულობის დადებას გაზეთები დიდ ყურადღებას აქცევენ. სავაჭრო ხელშეკრულობა პოლიტიკურ კავშირის თავდებიაო, ამბობენ.

სათათბიროს მემარჯვენე დეპუტატებს მმართველ წრეებისათვის მოხსენებით მიუმართავთ. მოხსენებაში ნათქვამია, რომ მთავრობამ მთელი თავისი ენერგია საგარეო პოლიტიკას მოანდომა და შინაურ პოლიტიკას ყურადღებას არ აქცევს. ამავე დროს კი რევოლიუციონერები ენერგიულად მოქმედებენ თავის საზღვარგარეთელ კომიტეტის ხელმძღვანელობით. მემარჯვენეებმა ბევრი საწადელი აისრულეს, მათ გადააყენეს: მაკლაკოვი, რუხლოვი, საბლერი და სხვანი. საჭიროა მთავრობამ ახლავე მიიღოს ზომები რევოლიუციონურ მოძრაობის აღმოსაფხვრელად, რომელიც ომის შემდეგ მოსალოდნელიაო, და სხვა.

### უცხოეთი

ლიბკნეხტის საქმის ხელმეორეთ გარჩევა აგვისტოს პირველ რიცხვებისთვის დაინიშნა

ამას წინად რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი საზონოვი „რუსკ. სლოვო“ ს სტოკჰოლმელ კორესპონდენტს ესაუბრა. იგი ვრცლად ეხებოდა გერმანიას და ამტკიცებდა, თუ ვინ იყო ამ მსოფლიო კატასტროფის ნამდვილი მიზეზი, და მოითხოვდა გერმანიის აუცილებლად დამხობას. მინისტრი ამასთანავე შეხებია ინგლის-რუსეთის კავშირს, ამის შესახებ გერმანული გაზეთი „ლოკალ ანცეიგერი“ სწერს: როგორც თვით მინისტრის საუბარმა დაამტკიცა, რუსეთ ინგლისს გერმანიის საწინააღმდეგო კავშირი ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე კარგა ხნის წინად შეუკრავთ და სარაევოს მკვლელობამდი რუსეთ-ინგლისი გერმანიას უკვე სასიკვდილოდ მახვილს უმზადებდაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტოკჰოლმიდან ... გერმანიის სოციალდემოკრატია გერმანიის შინაურ ცხოვრების გათვალისწინებას და სხვადასხვა კრიზისის წინააღმდეგ ორგანიზაციული ზომების მიღებას შესდგომია.

ამსტერდამელ გაზეთის გადმოცემით, ერთ გერმანელ ქალს გაუგია, რომ მის ქმარს, მაიორ პ—ს ბრძოლის ველზე ერთი მოწყალების და შეუყვარებია. ქალს საჩქაროდ ჩაუცვამს მამაკაცის ტანისამოსი და ბრძოლის ველზე წასულა. რამდენიმე ხნის შემდეგ მას ერთ კარავში შეუნიშნავს მისი ქმარი და მოწყალების და, ერთმანეთს ეხვეოდენ. ქალს ცოტა ხნით გონება დაუკარგავს. შემდეგ გაქცეულა, ასაფეთქებელი მასალა მოუტანია და განცხრომაში მყოფნი აუფეთქებია.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. „**სამშობლო**“



## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 8 ს | 5 წ |
| „ | — საღამ. | — 8 ს. | 55 „ |
| ბათომიდან | — დღისით | —12 ს. | 45 „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. | 25 „ |
| ფოთიდან | — დილის | — 10 ს | 31 „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს | — 6 ს. | 55 „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. | 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | — 11 ს. | 5 „ |
| „ | — ღამის | — 12 ს. | 30 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. | 10 „ |
| „ | — დილის | — 6 ს. | — „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. | 13 „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 5 ს. | 25 „ |
| შორაპნისაკენ | — დღით | — 6 ს. | 25 „ |

**მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ყორყოლაძეების სამკურნალო**

# აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

# სალი კუჭი

# უელაგარი ექ. ვეზისა.

ახალი მეცნიერულათ შემზადებული პრეპარატი კუჭის ქრონიკულ უაზბობის, მოშლის, ნაწლევების, კატარის და საჭმლის გადამხარშველ ნაწილების სისუსტის წინააღმდეგ.

ქრონიკული უაზბობა წყაროა მთელი წყება კუჭ-ნაწლევების მოშლისა, პირის დებინებისა, სიმწვავისა, მუცლის ბერვისა, კუჭის ტკივილებისა, ნაწლევების კატარისა, გემორთისა, იწვევს სისხლის მოწამლვას, თავის ტკივილებს, მადის დაკარგვას, ცუდ გუნებას და საერთოდ მთელი ორგანიზმის მოშლა—დასუსტებას. უაზზობის წინააღმდეგ ჩვეულებრივ ხმარობენ საფაღარათო წამლებს, რომელიც არა თუ სპობს უაზზობას, პირიქით უფრო აძლიერებს მას.

პრეპარატი **უელაგარი** ექ. ვეზისა აქარწყლებს კალაგვის მასსას, ასაღებს ნაწლევებს, აშორებს უდებობას და აჩვევს მას ნორმალურ მუშაობას და რადიკალურათ სპობს ჭვალს, ნაწლევების კატარს, მიგრენს და სხვა სისუსტეს, რომელიც გამოწვეულია უაზზობისაგან. **უელაგარი** სრულებით უვნებელი საშუალებაა სხეულისთვის და სრულებით ადვილი გადასატანია თვით ჯიუტ ავათმყოფობისაგანაც კი. პრეპარატ **უელაგარს** ხმარობენ გამოჩენილი პროფესორები კუჭის ავათმყოფობის დროს და მოწონებულია როგორც უტყუარი და სარწმუნო საშუალება კუჭის ყოველგვარ ავათმყოფობისა და მისი შედეგებისათვის.

დაწვრილებით ბროშურა კუჭის ავათმყოფობის შესახებ პირველ მოთხოვნილებისთანავე იგზავნება უფასოთ.

ნამდვილი **უელაგარი** ექ. ვეზისა მზადდება საფრანგეთსა და რუსეთში. იყიდება „პრაკტიკულ მედიცინის ლაბორატორიის განყოფილებაში“ და ქუთაისში **ა. პ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქის თეატრის პირდაპირ.

უელაგარის ერთი კოლოფი ღირს 3 მ., მოსარჩენათ საჭიროა 3—5 კოლოფი. 9 (წლიური)